MES 9 23 0001474210

01/11/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლა
ნატო გოგუაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლა
ნათია ხელიძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლა
ლელა გათენაძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლა
მაია ხახალეიშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლა
მზიური შავაძე - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
ლელა ფიცხელაური - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
თორნიკე შევარდნაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
შორენა გაგუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ეკა კობიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
რუსუდან ნიპარიშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
თამარ თავშავაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ნადია დაბრუნდაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ხათუნა ქერაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლა
თავმჯდომარე:
ია ქურიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ეთერ ბოკელავაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
თეა მათითაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
მედიკო ჯიქია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ანა კოკოჩაშვილი ახვლედიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ელენე ხუციშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ნინო მარღიშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მზევინარ მჟავანაძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
მანანა შეროზია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნათია კურტანიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლა

თავმჯდომარე:
მერი ქვრივიშილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ელენე კალანდაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
მანანა ჭიკაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
თამილა თამაზაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ვარდო გოგილავა - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნათია მაკრახიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ანა ობოლაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
გიორგი ბერძულიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნათია ბალხამიშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლა

თავმჯდომარე:
ნანა მონიავა - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ნანა ხუფაცარია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ირმა ავალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნანა შალამბერიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თინათინ ბეგიაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ზაზა მანია - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნანა ცინცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
ლელა მანგოშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი
ეკა ბარნაბიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლა

თავმჯდომარე:
დავით ლიპარტელიანი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:
ზვიად ბერიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
ხათუნა ტოტოჩავა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
შორენა გაგნიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
ნინო ლაცაბიძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
ნაირა მამუკელაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
ნანა ყანჩაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
მარინე კვარაცხელია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
მარინა ანესაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
ნინო ვაშალომიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 18 ოქტომბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:
1. სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 07 და 08 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, ინასარიძის ქ.N11-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 2150 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 2150 მოსწავლისთვის.
სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში, ექსპერტმა ისაუბრა მოსწავლეთა მხარდამჭერ გარემოზე და განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა სახის კლუბი, რომლის ფარგლებშიც სკოლაში ხორციელდებოდა არაერთი პროექტი. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებდა სასკოლო რადიო და მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებში.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ოთხივე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტის 3.4. და 3.5 კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და დასკვნა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, სკოლაში არ იყო შექმნილი ინკლუზიური გარემო, რადგან არ იყო ადაპტირებული შენობის კიბეები.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რაც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებსაც.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა სკოლას რესურსოთახი და თუ იყვნენ სკოლაში შესაბამისი რაოდენობის სპეციალური მასწავლებლები. ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ მოცემული დროისთვის სკოლაში არ ირიცხებოდა ეტლით მოსარგებლე მოსწავლე და რესურსოთახი განთავსებული იყო შენობის მეორე სართულზე. სკოლას ჰყავდა სამი სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი და მეტყველების თერაპევტი, რომელთა რაოდენობაც მოცემულ სიტუაციაში სრულიად საკმარისი იყო სკოლისთვის. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნატო გოგუაძემ განაცხადა, რომ სკოლა გეგმავდა სარეაბილიტაციო სამუშაოებს და შენობის სრულად ადაპტირებას, რა დროსაც გათვალისწინებული იქნებოდა სკოლაში ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2150-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლას (ს/კ: 245428997) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2150 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. N11
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. N11
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ბათუმი, ინასარიძის ქ. N11

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

საბჭოს სხდომას 16:30 საათზე შემოუერთდა საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე.

2. სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ია ქურიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 21 და 22 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, გელათის ქ. N81-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 350 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 350 მოსწავლისთვის.
ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ ავტორიზაციის განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა, ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი და მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტები 1.1, 1.2 და 4.1 კი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. ექსპერტის თქმით, მეორე სტანდარტი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო საფეხური) შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი შეფასდა მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მესამე სტანდარტს, ის შეფასებული იყო როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, 3.1, 3.3, 3.4, 3.5, 3.6 და 3.7 კომპონენტები კი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა, ია ქურიძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. ექსპერტის თქმით, დასკვნა, ასევე, მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში აქტიურად ხორციელდებოდა სხვადასხვა ტიპის პროექტები და კვლევები. სკოლას მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების მიზნით მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა სკოლაში არსებული მოსწავლეების რაოდენობით. ექსპერტმა, ია ქურიძემ განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 200-მდე მოსწავლე.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 1

საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, შესაბამისად, მოსწავლეთა უსაფრთხოებისა და მათი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, იგი მხარს არ უჭერდა სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ნათია ხელიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებას მოცემულ მომენტში მიღებული ჰქონდა შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, თუმცა ის ცენტრში არ ჰქონდა წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის სახით.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ საბჭოს სახელით განმარტა, რომ აღნიშნულ დოკუმენტს სჭირდებოდა შესწავლა და საბჭო მოკლებული იყო შესაძლებლობას შეემოწმებინა დოკუმენტის ვალიდურობა.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ქუთაისის N8 საჯარო სკოლას (ს/კ: 212806070) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350 - ით.
დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ქუთაისი, გელათის ქ. N81

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ქუთაისი, გელათის ქ. N81
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ქუთაისი, გელათის ქ. N81

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 და მე-4 სტანდარტები.

საბჭოს სხდომა 17:15 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა.

3. სსიპ - ქალაქ ბათუმის N27 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა. მისი განცხადებით, სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18 და 19 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ბათუმში, გრიგოლ ელიავას ქუჩა N15-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.
ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ინტერვიუები სკოლის

ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან და გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა მერი ქვრივიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მეორე სტანდარტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, რადგან ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის 2.2 კომპონენტი შეფასებული იყო მეტწილად შესაბამისი. მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა 3.1, 3.2, 3.3, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე სტანდარტს, ის შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა 4.2 კომპონენტი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.

ექსპერტმა, მერი ქვრივიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა სასკოლო ფორმების საკითხით და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ როგორ ხდებოდა სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ დამტკიცებული სასკოლო ფორმის შესყიდვა, მათ შორის სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისათვის.

სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლელა გათენაძემ განაცხადა, რომ თავდაპირველად სასკოლო ფორმების საკითხი სკოლამ განიხილა მშობლებთან, მათი თანხმობის შემდეგ კი თავად მშობლების მიერ მოხდა შესაბამისი სამკერვალოს მოძიება და ფორმების შეძენა, ხოლო სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისთვის სამკერვალომ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო ფორმების შეკერვა. რაც შეეხებოდა სასკოლო ფორმის ესკიზებს, ის შემუშავებული იყო მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს და სთხოვა დაეზუსტებინათ, ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმებში დაფიქსირებული ავტორიზაციის სტანდარტთან შეუსაბამობების გამო, რამდენად ჰქონდა სკოლას მზაობა წარემართა საგანმანათლებლო პროცესი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, მანანა ჭიკაძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად დაფიქსირებული სტანდარტებთან შეუსაბამობებისა და ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციებისა, სკოლას ჰქონდა სრული მზაობა კურიკულუმების განხორციელების და, ასევე, სხვა დოკუმენტაციის შემუშავებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ბათუმის №27 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,სსიპ - ქალაქ ბათუმის №27 საჯარო სკოლას(ს/კ: 248385340) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. ბათუმი, გრიგოლ ელიავას ქუჩა N15
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. ბათუმი, გრიგოლ ელიავას ქუჩა N15
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. ბათუმი, გრიგოლ ელიავას ქუჩა N15

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი – 2025 წლის ოქტომბრიდან;;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა – ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 სტანდარტები, მე-4 სტანდარტის 4.2 კომპონენტი.

4. სსიპ - ქალაქ თბილისის N82 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა მონიავამ. მისი განცხადებით, სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 03 და 04 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ნაკადულის ქ. N6-ში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1500 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1500 მოსწავლისთვის.
ნანა მონიავას განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 3.4 შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეოთხე და მეორე სტანდარტს, შეფასებული იყო როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა აღჭურვილი იყო საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიით, თუმცა, აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ ლაბორატორიის აღჭურვილობა იყო მოძველებული. სკოლას, ასევე, ჰქონდა სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი და ღია სპორტული მოედანი, თუმცა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შიდა სპორტული მოედანი და სააქტო დარბაზი საჭიროებდა რეაბილიტაციას. ექსპერტმა ბიბლიოთეკასთან დაკავშირებით დამატებით აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ელექტრონული პორტალი, რომლის მეშვეობითაც მოსწავლეებს შეეძლოთ წინასწარ მოეძიებინათ წიგნი და დაეჯავშნათ, თუმცა მოსწავლეების მიერ არ ხდებოდა აღნიშნული პორტალის ხშირი გამოყენება.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რატომ იყო დაბალი ინტერესი ბიბლიოთეკის ელექტრონული პორტალის მიმართ. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია ხახალეიშვილმა აღნიშნა, რომ მოსწავლეების უმეტესობა არჩევანს აკეთებდა წიგნის ადგილიდან გატანაზე და არ სარგებლობდა ელექტრონული ვერსიებით, თუმცა პორტალის შესახებ ყველა მოსწავლე იყო სრულად ინფორმირებული.
საბჭოს წევრი, თამარ მამსიკაშვილი, ასევე დაინტერესდა, თუ რამ გამოიწვია სკოლის შიდა სპორტული მოედნისა და სააქტო დარბაზის ამჟამინდელი მდგომარეობა, რაზეც სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია ხახალეიშვილმა აღნიშნა, რომ შიდა

სპორტული მოედანი და სააქტო დარბაზი სკოლის დაარსებიდან დღემდე არ იყო გარემონტებული, თუმცა დირექტორის განცხადებით, სკოლამ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყო სპორტული მოედნის იატაკისა და გასახდელი ოთახების რემონტი.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ტრადიცია ყოველწლიური კონფერენციის „თანადროული განათლება“ ჩატარების და დაინტერესდა, აგრძელებდა თუ არა სკოლა აღნიშნულ ტრადიციას. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია ხახალეიშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას 2019 წლის შემდეგ ფართო მასშტაბიანი კონფერენციები აღარ ჩაუტარებია, რადგან დირექტორის განცხადებით, პირველ ეტაპზე ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა პანდემია, მოცემულ მომენტში კი სკოლაში იყო არასაკმარისი ფართი დამატებითი არაფორმალური შეხვედრებისთვის, რაც გამოწვეული იყო სკოლის შენობაში მეორე ცვლაში დროებით სხვა საჯარო სკოლის ყოფნით.
საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ აღნიშნა, რომ სკოლას შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისთვის გამოყენებული ჰქონდა SWOT ანალიზის მეთოდი, სადაც საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეების უარი, სწავლა გაეგრძელებინათ პროფესიულ კოლეჯში, სკოლას მოხსენიებული ჰქონდა როგორც დაწესებულების სუსტი მხარე. მანანა ჯინჭარაძემ მიმართა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს კითხვით და სთხოვა აეხსნა, თუ რა პრევენციული აქტივობები განახორციელა სკოლამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია ხახალეიშვილმა განმარტა, რომ ისინი მუდმივად ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეებთან და მშობლებთან, რათა გაეზარდათ პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერება და მომავალში გეგმავდნენ სკოლას გაეფორმებინა მემორანდუმი კოლეჯ „სპექტრთან“ და სკოლაში მომხდარიყო პროფესიული საგნების ინტეგრირება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების საგნებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სკოლას SWOT ანალიზში სუსტ მხარეებად მოცემული ჰქონდა მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია, მშობლების სკოლის მიმართ უნდობლობა და ეკონომიკური საქმიანობის ნაკლებობა. მან სკოლას მიმართა კითხვით, თუ რა ინსტრუმენტებით მოხდა მოსწავლეთა მოტივაციის გაზომვა, ასევე, რაში გამოიხატებოდა მშობლების სკოლისადმი უნდობლობა და რატომ ჰქონდა სკოლას ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები, როდესაც მათ ჰქონდათ შესაძლებლობა იჯარით გაეცათ კონკრეტული ფართები. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია ხახალეიშვილმა აღნიშნა, რომ 2019 წლის ნოემბერში სკოლამ დაასრულა ფართის იჯარით გაცემა, რის შემდეგაც დაიგეგმა ფართის რემონტი, რასაც დაემთხვა Covid-პანდემია და 2020 წლის სექტემბრიდან სხვა საჯარო სკოლის მოსწავლეების განთავსება შენობაში მეორე ცვლაში. აღნიშნულმა გარემოებებმა კი, თავის მხრივ, შეზღუდა ფართის იჯარით გაცემის შესაძლებლობა. მაია ხახალეიშვილის განცხადებით, საბაზო საფეხურის მოსწავლეებში ხშირი იყო დაბალი აკადემიური მოსწრების შემთხვევები. ამასთანავე, გამოცდების ეროვნული ცენტრი აფასებდა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების სწავლის შედეგებს გამოცდების საშუალებით, რომლის შედეგებშიც ფიქსირდებოდა დაბალი მაჩვენებელი. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ასევე, აღნიშნა, რომ მასწავლებლები სკოლაში ატარებდნენ გამოკითხვას, რომლის შედეგებიც ამტკიცებდა, რომ მოსწავლეთა ნაწილი, რომელიც მოტივირებული იყო, იცვლიდა სკოლას.
საბჭოს წევრის, მაკა მამფორიას განცხადებით, სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის ანგარიშში აღნიშნული იყო, რომ მასწავლებლები მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციას გააზიარებდნენ ზეპირი მოხსენებით და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის სახით. საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს აეხსნა, თუ რას ნიშნავდა აღნიშნული ჩანაწერი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მაია ხახალეიშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ ჩანაწერში იგულისხმებოდა მასწავლებლების მიერ განმავითარებელი შეფასების გაცემა, როგორც წერილობითი კომენტარის სახით, ასევე, ინდივიდუალური შეხვედრებისას ზეპირსიტყვიერად.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის ანგარიშში იყო მხოლოდ ჩამონათვალი შესრულებული კომპლექსური დავალებებისა და არ ჩანდა რაიმე სტატისტიკური ანალიზი ან გარკვეული ინტერვენციები მოსწავლეთა არსებული ინტერესისა თუ მოტივაციის და მათი გაზრდის შესახებ. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს და სთხოვა დაეზუსტებინა ზემოაღნიშნული საკითხი. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, მაია ხახალეიშვილის განმარტებით, მოცემული ანგარიში წარმოადგენდა კათედრების გამოკითხვის შედეგს, რომლის განხორციელების მიზანიც იყო გაერკვიათ, თუ რა დოკუმენტაცია ჰქონდა თითოეულ კათედრას, კონკრეტულად სასკოლო კურიკულუმის სტანდარტთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ საბჭოს მიმართა შუამდგომლობით, დაწესებულებაში განხორციელებულიყო ადგილზე მონიტორინგი, ხოლო მონიტორინგის ფარგლებად განსაზღვრულიყო პირველი, მეორე სტანდარტის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები და მეოთხე სტანდარტი, რადგან სკოლა საჭიროებდა განვითარებას მოცემული სტანდარტების მიმართებით.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,სსიპ - ქალაქ თბილისის №82 საჯარო სკოლას(ს/კ: 208145283) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, ნაკადულის ქ. N6
2		საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, ნაკადულის ქ. N65

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, ნაკადულის ქ. N6

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ოქტომბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - 1-ლი, მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 სტანდარტები.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა.

საბჭოს სხდომა 18:10 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა.

5. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ, ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს სხდომაზე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა. მისი განცხადებით, სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 20 და 21 ივლისს. სკოლა მდებარეობდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ სალიბაურში. დაწესებულება ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი

მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 750 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 750 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად იყვნენ ჩართული არაფორმალურ აქტივობებში და სკოლაში დიდი ყურადღება ექცეოდა არაფორმალურ განათლებას. მასწავლებლებს და მოსწავლეებს მოპოვებული ჰქონდათ ჯილდოები სხვადასხვა კონკურსებსა და პროექტებში. ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა მოვლილი რეკრეაციული ეზო, ასევე, სკოლაში იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი და ადაპტირებული სველი წერტილი.
ექსპერტის განაცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ ავტორიზაციის განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან, რის საფუძველზეც გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები. თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ ზემოაღნიშნული შეუსაბამობები დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი, მეორე სტანდარტის სამივე საფეხურის პროგრამები და მეოთხე სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, 3.4, 3.5 და 3.6 კომპონენტები კი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით.
ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მზიური შავაძემ განაცხადა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის შემდეგ მათ მუშაობა დაწყებული ჰქონდათ ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებისთვის, მათ შორის მოპოვებული ჰქონდათ დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ და მოცემულ მომენტში მუშაობდნენ ლიფტის ან პანდუსის დამონტაჟების საკითხზე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხით მიმართა საგნობრივ ექსპერტებს და სთხოვა დაეზუსტებინათ, ჰქონდა თუ არა სკოლას მზაობა სასკოლო კურიკულუმის სტანდარტის მიმართულებით გაცემული რჩევების შესრულებისთვის. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ხათუნა ტოტოჩავამ აღნიშნა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფის მიმართულებით ასახავდა ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებულ მოთხოვნებს. მისი თქმით, მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სასწავლო გარემო იყო მრავალფეროვანი, როგორც ფორმალური ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით. გარდა ამისა, ექსპერტის თქმით, გამოიკვეთა მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურა. შესაბამისად, ხათუნა ტოტოჩავამ დაადასტურა, რომ სკოლას ჰქონდა მზაობა გაეთვალისწინებინა ექსპერტთა მიერ გაცემული რჩევები. უცხოური ენების საგნობრივმა ექპერტმა, ნინო ლაცაბიძემ გაიზიარა და დაადასტურა აღნიშნული მოსაზრება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 750-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლას(ს/კ: 248386811) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 750-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფელი სალიბაური

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ოქტომბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნებისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18:35 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა